




გზამკვლევი სტუდენტებისთვის

თარიღი	ივნისი 2018
თავი	0
გვერდი	1/19
ცვლილება	0

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი


გზამკვლევი სტუდენტებისთვის




	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	სარჩევი	გვერდი	2/19
		ცვლილება	0

## სარჩევი

სარჩევი.....	2
გზამკვლევის მიზანი.....	4
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული ბაზა.....	4
სისტემაში რეგისტრაცია/ავტორიზაცია.....	5
აკადემიური კალენდარი.....	5
სწავლა და შეფასება.....	5
გამოცდების ჩატარების წესი.....	6
ზოგადი დებულებები.....	6
გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები.....	7
ეთიკის კოდექსი.....	8
ეთიკის კოდექსის სტანდარტები სტუდენტებისთვის.....	8
ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა.....	9
ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციები.....	10
პლაგიატი.....	11
მიზნები და ამოცანები.....	11
პლაგიატთან ბრძოლის ძირითადი პრინციპები.....	11
პლაგიატის გამოყენება.....	12
პლაგიატის გამოყენების განმხილველი ორგანო და განხილვის პროცედურები.....	13
კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება.....	14
სწავლების საფასური.....	15
სასწავლო გრანტის გაუმჯობესება.....	15
დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობა.....	15
ბიბლიოთეკა.....	16
ზოგადი დებულებები.....	16
როგორ გავწევრიანდე ბიბლიოთეკაში.....	16
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით სარგებლობა.....	17
ბიბლიოთეკაში წიგნის დაბრუნების ვადები და ვადის დარღვევის შემთხვევები.....	17

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	სარჩევი	გვერდი	3/19
		ცვლილება	0

ბიბლიოთეკაში ქცევის წესები.....	17
სტუდენტური თვითმმართველობა.....	18
დასაქმება და კარიერული მხარდაჭერა .....	19
ვის მივმართოთ თქვენთვის საინტერესო სხვა ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად?!	19

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	გზამკვლევის მიზანი	გვერდი	4/19
		ცვლილება	0

## გზამკვლევის მიზანი

გზამკვლევის მიზანია მოახდინოს სტუდენტთა სწრაფი და ზუსტი ინფორმირება საუნივერსიტეტო გარემოს შესახებ, მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია აკადემიურ მოთხოვნებზე, სასწავლო პროცესზე, საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე როგორც აუდიტორიაში, ასევე მის გარეთ, შესაძლებლობებზე, რომელსაც სთავაზობს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

## სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული ბაზა


სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული ბაზა საშუალებას გაძლევთ ეფექტურად დაგეგმოთ თქვენი სასწავლო პროცესი. ბაზა ინფორმაციის მიღების მიზნით ხელმისაწვდომია მთელი წლის განმავლობაში. საგნების არჩევის შესაძლებლობა ხელმისაწვდომია სემესტრის დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე. ასევე შესაძლებელია ელექტრონული რესურსებით სარგებლობა და სხვადასხვა სახის გამოკითხვებში მონაწილეობა.

**ყურადღება!** ელექტრონულ ბაზაში სტუდენტები რეგისტრირდებიან შემდეგი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: გვარი, სახელი, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. ყველა სტუდენტისათვის შექმნილია კორპორატიული ელექტრონული საფოსტო ყუთი gmail.com-ზე @ssu.edu.ge დომენით. უნივერსიტეტის ყველა სტუქტურული ერთეული სტუდენტთან საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ფოსტას. შესაბამისად ყველა სტუდენტი ვალდებულია ისარგებლოს აღნიშნული ელექტრონული ფოსტით.

ელექტრონული ბაზა ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

[www.my.ssu.edu.ge](http://www.my.ssu.edu.ge) - უნივერსიტეტის გარეთ.


[192.168.1.164](http://192.168.1.164) - უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

	<b>გზამკვლევი სტუდენტებისთვის</b>	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	<a href="http://ssu.edu.ge/index.php/ka/2017-12-25-06-25-49/2018-06-05-12-50-43">http://ssu.edu.ge/index.php/ka/2017-12-25-06-25-49/2018-06-05-12-50-43</a>	გვერდი	5/19
		ცვლილება	0

## სისტემაში რეგისტრაცია/ავტორიზაცია

სისტემაში პირველად შესვლისათვის ვაწვებით პაროლის აღდგენის ღილაკს და მივყვებით ინსტრუქციას.

პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 სიმბოლოსაგან და მათ შორის ერთი აუცილებლად „shift“ კლავიშის გამოყენებით. პაროლის შექმნის შემდეგ შეგიძლიათ სისტემაში შესვლა თქვენი პირადი ნომრისა და პაროლის გამოყენებით.




<http://ssu.edu.ge/index.php/ka/2017-12-25-06-25-49/2018-06-05-12-50-43>

## აკადემიური კალენდარი

ყოველი სასწავლო წელი დაყოფილია 2 სემესტრად, საშემოდგომოდ და საგაზაფხულოდ. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა 20 სასწავლო კვირას შეადგენს. აქედან 15 კვირა სალექციაო. დანარჩენი 5 კვირა ეთმობა შუალედურ და ფინალურ გამოცდებს. ყოველი სასწავლო წლისათვის სემესტრის დაწყების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების, პრაქტიკებისა და საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების დაცვის თარიღების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის საშუალებით.

## სწავლა და შეფასება

ყველა სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს იმ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელზეც ის ირიცხება. საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც განაწილებულია 8 სემესტრზე. სამაგისტრო პროგრამების მოცულობა 120

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	გამოცდების ჩატარების წესი	გვერდი	6/19
		ცვლილება	0

კრედიტია და განაწილებულია 4 სემესტრზე. სადოქტორო პროგრამების მოცულობა 180 კრედიტია და განაწილებულია 6 სემესტრზე.

პროგრამის დასრულებისა და კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები ყველა საგანში დადებითი შეფასების მიღებით.

შეფასების სისტემა სტანდარტულია. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. სტუდენტმა შესაძლოა საგანში მიიღოს ხუთი სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება. კერძოდ დადებითი შეფასებებია:

- A: 91-100 ფრიადი
- B: 81-90 ძალიან კარგი
- C: 71-80 კარგი
- D: 61-70 დამაკმაყოფილებელი
- E: 51-60 საკმარისი

უარყოფითი შეფასებებია:

- FX: 41-50 ვერ ჩააბარა, თუმცა ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
- F: 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა შეისწავლოს კურსი.

თითოეული საგნის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსებში, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული ბაზის საშუალებით.

## გამოცდების ჩატარების წესი

[გამოცდების ჩატარების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:](#)


### ზოგადი დებულებები

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში წერითი (შუალედური, დასკვნითი/დამატებითი) გამოცდების ორგანიზაციულად ჩატარებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა, ხოლო დამატებითი გამოცდა - დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ბილეთის ფორმა, მასში საკითხების ოდენობა და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია პედაგოგის მიერ და მოცემულია სილაბუსში.

სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს ფაკულტეტის დეკანს განცხადებით და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადახედვა.


	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	გამოცდების ჩატარების წესი	გვერდი	7/19
		ცვლილება	0

გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 2 საათი.

## გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
2. სტუდენტი ვალდებულია, იქონიოს სტუდენტის ბილეთი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
3. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში შესვლისას, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას დატოვოს საკუთარი ნივთები (ჩანთა, კონსპექტი, წიგნი და სხვა) რომელთა გამოყენებაც გამოცდის მსვლელობისას არ არის ნებადართული.
4. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, საწერი კალმის, კალკულატორისა და სასმელი წყლის გარდა.
5. სტუდენტები საგამოცდო ცენტრში ნაწილდებიან დამკვირვებლის მიერ მითითებულ ადგილზე. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა სტუდენტის ბილეთის/პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, კალკულატორისა და სასმელი წყლისა.
6. იკრძალება სამუშაო მაგიდასთან ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელ. ჩამწერი და სხვა) დაწერილი ან ჩაწერილი ინფორმაციის მიტანა, მათ შორის ჩართული მობილური ტელეფონით სარგებლობა. აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება გადაწერის მცდელობად, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და დაუფიქსირდება შეფასება ნული.
7. იკრძალება გამოცდის მსვლელობის დროს სტუდენტებს შორის ნებისმიერი სახით ინფორმაციის გაცვლა, რაც ჩაითვლება გადაწერის (კარნახის) მცდელობად. სტუდენტები მოიხსნებიან გამოცდიდან და დაუფიქსირდებათ შეფასება ნული.
8. სტუდენტი ვალდებულია, შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს დამკვირვებელს.
9. საგამოცდო ბილეთის თავფურცელზე შესაბამის ადგილას სტუდენტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, გამოცდის თარიღი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი.
10. სტუდენტს ეკრძალება საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, გვარი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან. საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
11. სტუდენტს ეძლევა საგამოცდო ცენტრიდან საჭიროებისამებრ ან სხვა ობიექტიური მიზეზით (მაგ. სტუდენტის შეუძლოდ გახდომა) ერთხელ გასვლის უფლება.
12. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის გამოცდიდან მოხსნის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქმედება განიხილება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად, რაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია.
13. სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტმა დამკვირვებელს უნდა წარუდგინოს სტუდენტის ბილეთი და ჩააბაროს საგამოცდო ნაშრომი.



	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	ეთიკის კოდექსი	გვერდი	8/19
		ცვლილება	0

## ეთიკის კოდექსი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) წარმოადგენს იმ ქცევის წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულება სავალდებულოა, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდგომში - პერსონალი), ასევე სტუდენტებისათვის. კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს პერსონალს და სტუდენტებს ემ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას სამუშაო ან/და სასწავლო პროცესში. ეთიკის კოდექსი ეფუძნება პატიოსნების, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორუფლებიანობისა და კანონიერების პრინციპებს.

[ეთიკის კოდექსი განთავსებულია ვებგვერდზე:](#)

## ეთიკის კოდექსის სტანდარტები სტუდენტებისთვის

1. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტს, მის პერსონალს, უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს და სხვა სტუდენტებს. ამასთან, იგი ვალდებულია დაიცვას მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, ასევე უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესები.

2. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება და ძალადობა სხვა სტუდენტების, პერსონალის და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირთა მიმართ;

ბ) აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:

ბ.ა) გადაწერას სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენებას სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ ყოფილა ნებადართული;

ბ.ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას;

ბ.გ) კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას გამოცდის შესახებ;

ბ.დ) სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენას;

ბ.ე) წყაროს მითითების გარეშე, სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირებას -პლაგიატს;


ბ.ვ) შეფასების მიღების მცდელობა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით,

თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი გზით;

ბ.ზ) თავისი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბებას;

გ) ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება;



	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	ეთიკის კოდექსი	გვერდი	9/19
		ცვლილება	0

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ასაფეთქებელი ან საშიში ნივთიერებებით გადაადგილება;

ე) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება;

ვ) ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ხმაური და მობილური ტელეფონით სარგებლობა ბიბლიოთეკაში, ასევე აუდიტორიაში გამოცდის ან ლექციების მსვლელობის დროს;

ზ) უნივერსიტეტის ქონების დაზიანება.

3. საგამოცდო ნაშრომში აკადემიური სიყალბის ფაქტის დადგენა იწვევს შესაბამისი ნაშრომის უარყოფითად შეფასებას, ხოლო საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადისერტაციო ნაშრომის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

## ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა

სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის მოთხოვნის უფლება აქვს უნივერსიტეტში დასაქმებულ ნებისმიერ პირს და თავად იმ სტუდენტს, ვისაც ზიანი მიადგა ამ უკანასკნელის არამართლზომიერი ქცევით.


სტუდენტის მიერ ჩადენილი არაეთიკური ქცევის დროს დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სათანადო წესით მოპოვებულ და შესწავლილ მტკიცებულებებს.

სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შეფასებისა და საქმის გარემოებების ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლის მიზნით შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სადისციპლინო კომისია არანაკლებ 3 პირის შემადგენლობით.

დისციპლინური დევნის დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვის უფლებებსა და ინტერესებს.

დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში.

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	ეთიკის კოდექსი	გვერდი	10/19
		ცვლილება	0

საქმის გარემოებების შესწავლის, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეჯერებისა და დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის ამ კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სანქციის გამოყენების შესახებ. სანქციის დაკისრების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი კომისიის წარდგინების საფუძველზე.

## ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციები


დისციპლინური სანქციებია:

- ა) გაფრთხილება;
- ბ) საყვედური;
- გ) ფულადი ჯარიმა (უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში);
- დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთი ზომის გამოყენება. კომისია არ არის შეზღუდული დისციპლინური სანქციების არჩევაში.

სტუდენტის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს პროპორციული და თანაზომიერი მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით.

პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა გამორიცხავს სამომავლოდ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ურთიერთობას.

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	პლაგიატი	გვერდი	11/19
		ცვლილება	0

## პლაგიატი

### მიზნები და ამოცანები

პლაგიატთან ბრძოლის მიზანია უნივერსიტეტის სივრცეში დანერგოს ურთიერთპატივისცემის, უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რეპუტაციის დაცვის მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალურ საკუთრების დაცვა, უნივერსიტეტის სივრცეში და მის გარეთ სხვათა ნაშრომის პატივისცემა, რისთვისაც უნივერსიტეტი ქმნის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, მათზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე პლაგიატად ჩაითვლება ყველა ის ქმედება, რომელიც მოიცავს სხვისი ნაშრომის, იდეის, აუდიო-ვიზუალური, ლიტერატურული თუ სხვა სახის ნაწარმის გამოყენებას ავტორის მითითების გარეშე.

### პლაგიატთან ბრძოლის ძირითადი პრინციპები


პლაგიატთან ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი ეყრდნობა ოთხ ძირითად პრინციპს:

- ინფორმირებულობა;
- პრევენცია;
- აღმოჩენის მექანიზმი;
- რეაგირების მექანიზმები.

უნივერსიტეტი ინფორმირებულობის პრინციპზე დაყრდნობით ქმნის შესაბამის სამართლებრივ აქტს/აქტებს, უზრუნველყოფს მათ დანერგვას, რაც გულისხმობს წესების უნივერსიტეტის პერსონალისთვის, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისთვის გაცნობასა და მათთვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის პრევენციული ზომებია როგორც ინფორმირებულობა, ასევე ნებისმიერი საფეხურის სასწავლო კურსებში, მოდულებში პლაგიატის შესახებ სწავლების დანერგვა და შეფასების პროცესში პლაგიატის დაცვის წესების შემოწმება.

უნივერსიტეტი აღმოჩენის მექანიზმის პრინციპის საფუძველზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას მიმართოს განცხადებით პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის შესახებ, ასევე ნერგავს სხვა პროცედურებს, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის სივრცეში შექმნილი ნაშრომების უნივერსიტეტის პერსონალის მიერ კონკრეტული კრიტერიუმებით შემოწმებას, ნაშრომების ელექტრონული ბაზის შექმნა-გამოყენებას, ნერგავს შედარების ან/და გამოსაცდელ პროგრამებს.

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	პლაგიატი	გვერდი	12/19
		ცვლილება	0

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეაგირების მექანიზმების დანერგვას, კერძოდ, მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქციონირებას, მათ მიერ კონკრეტული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

## პლაგიატის გამოყენება

უნივერსიტეტის პერსონალი, ასევე სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, უნივერსიტეტის სივრცეში დასაქმებული ან მოწვეული ნებისმიერი პირი ვალდებულია დაიცავს ამ წესითა და წესის დანართით განსაზღვრული მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში გატარდება პლაგიატზე რეაგირების პროცედურები.

პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტის საქმიანობისა და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში:

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც სხვა პერსონალი, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია დაიცავს ამ მუხლით განსაზღვრული წესები;

უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია გაეცნოს პლაგიატიზმის ფორმის განმარტებებს და ნებისმიერ საქმიანობისას გამოიყენოს შესაბამისი წესები;


უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაატაროს ინფორმირებულობისა და პრევენციის ზომები, კერძოდ პროფესიულ სტუდენტებსა და სტუდენტებს, მსმენელებს განუმარტონ პლაგიატიზმის დაუშვებლობა, მისი შედეგები, აღმოჩენის მექანიზმები და რეაგირების პროცედურები;

უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელის ნაშრომების შეფასებისას დაიცვან ამ წესის მოთხოვნები, უზრუნველყონ მათი ნაშრომების ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასება;

უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია თავისი საქმიანობის ფარგლებში გამოავლინოს პლაგიატის შემთხვევა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაუყონებლივ წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის შესახებ;

სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევის დროს წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პლაგიატიზმის საქმის განხილვაში, თუ ეს საქმე კავშირშია პირის საქმიანობასთან;

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	პლაგიატი	გვერდი	13/19
		ცვლილება	0

უნივერსიტეტის ნებისმიერი პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტი/ პროფესიული სტუდენტი/ მსმენელი უფლებამოსილია კომისიის წინაშე დააყენოს მოთხოვნა საკუთარი ან/და სხვისი ნაშრომის მიმართ პლაგიატიზმის შესაძლო შემთხვევაზე;

სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი ვალდებულია ნაშრომების შემუშავებისას დაეყრდნოს უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს.

## პლაგიატის გამოყენების განმხილველი ორგანო და განხილვის პროცედურები

პლაგიატის გამოყენების შემთხვევებს განიხილავს მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში - კომისია), რომელიც იქმნება რექტორის ბრძანებით და მასში თანამდებობრივად შედიან დეკანები, პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

პლაგიატის შესახებ განცხადები ადმინისტრაციის მიერ გადაეცემა კომისიას საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით. პლაგიატის გამოყენების საკითხის განხილვის უფლებამოსილება ასევე გააჩნია კომისიას, საკუთარი ინიციატივით.


განხილვის პროცესს კომისიასთან ერთად შეიძლება დაესწროს განაცხადის ავტორი, ნაშრომის ავტორი, ნაშრომის ხელმძღვანელი და/ ან სხვა გარეშე პირი.

პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, კომისიისთვის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეაგირების თაობაზე მიმართვის უფლება ასევე ენიჭება გარეშე პირსაც.

ნაშრომის ხელმძღვანელი თავად არის ვალდებული გამოავლინოს პლაგიატის შემთხვევა ნაშრომის დაცვამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხოლო თუ მაინც მოხდება ასეთი ნაშრომის დაცვაზე გატანა სტუდენტთან ერთად დადგება ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხს კომისია განიხილავს მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

- სტუდენტებისთვის:
- წერილობითი გაფრთხილება;
- შეფასება 0
- ლექტორებისთვის:
- წერილობითი გაფრთხილება;
- აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა.

სასწავლო კურსის მოდულის სწავლა-სწავლებისას პროფესიული სტუდენტის, სტუდენტის, მსმენლის მიერ პლაგიატის შემთხვევისას უნივერსიტეტის პერსონალი უფლებამოსილია ამ

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	პლაგიატი	გვერდი	14/19
		ცვლილება	0


სასწავლო კურსი, მოდულში პირს დაუწეროს ნული ქულა, კომისიაზე განხილვის გარეშე. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი უფლებამოსილია მოითხოვოს ასეთი შემთხვევის პლაგიატის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილვა.

კენჭისყრაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

## კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საქალაქო სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.



	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	სწავლების საფასური	გვერდი	15/19
		ცვლილება	0

## სწავლების საფასური

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შექმნილია სწავლების საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა. სტანდარტულად სწავლების საფასურის გადახდა წარმოებს სემესტრულად. ყოველი სასწავლო სემესტრისათვის განსაზღვრული აკადემიური რეგისტრაციის ვადებში. სტუდენტი დაშვების წინაპირობების დაცვის გათვალისწინებით რეგისტრირდება საგნებზე, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში იხდის რეგისტრირებული საგნების ჯამური კრედიტების საფასურს (სასწავლო გრანტის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხის გამოკლებით), ფაკულტეტის წამყვანი სპეციალისტის დახმარებით ადასტურებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ბეჭდავს ხელშეკრულებას.

**სწავლების საფასურის გადახდა წარმოებს შემდეგ ანგარიშზე:**

საიდენტიფიკაციო კოდი 206155328  
 ტელეფონი: 2773138  
 ელ-ფოსტა: mail@ssu.edu.ge  
 ბანკი: სს"პროკრედიტბანკი"  
 კოდი: MIBGGE22  
 ანგარიში: #GE67PC0133600100056253 GEL

სწავლების საფასურის გადახდისას აუცილებელია მითითებული იქნას სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.


## სასწავლო გრანტის გაუმჯობესება

სტუდენტებს უფლება აქვთ გაიმჯობესონ სახელმწიფო დაფინანსება. იმ შემთხვევაში თუ თქვენ არ გაქვთ გრანტი, ან მოპოვებული გაქვთ ნაწილობრივი დაფინანსება (50% ან 70%), შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ გრანტის გაუმჯობესების გამოცდაზე, რომელიც ტარდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, და გაიმჯობესოთ არსებული გრანტი. გაითვალისწინეთ, რომ გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შედეგები არსებულ გრანტზე არ აისახება.

## დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველწლიურად აფინანსებს სტუდენტების სწავლას სოციალური პროგრამის ფარგლებში. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა განცხადება უნდა წარადგინოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში. დეტალური ინფორმაციისათვის დაუკავშირდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს



	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	ბიბლიოთეკა	გვერდი	16/19
		ცვლილება	0

## ბიბლიოთეკა

### ზოგადი დებულებები

უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე წიგნადი ფონდით, როგორც ელექტრონული სახის, ასევე ციფრულ მატარებელზე არსებული რესურსებით.

ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვს ყველა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს.

ბიბლიოთეკით სარგებლობის უპირატესი უფლებით სარგებლობს სტუდენტი, ხოლო შემდგომ აკადემიური პერსონალი.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს რამდენიმე ათასამდე საბიბლიოთეკო ერთეულს, რომელიც სისტემატიურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით, ბიბლიოთეკის ფონდი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული, შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზეა.

ბიბლიოთეკით სარგებლობის მოსურნე პიროვნება უნდა იყოს ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული.

მკითხველს ბიბლიოთეკის თანამშრომლები გაუწევენ დახმარებას მისთვის საჭირო ლიტერატურის შერჩევასა და კატალოგების გამოყენების ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 09:00- 20:00 სთ-მდე; შაბათს: 10:00- 15:00-სთ-მდე.


### როგორ გაწევრიანდეს ბიბლიოთეკაში

ბიბლიოთეკაში სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების გაწევრიანება ხდება სწავლის პერიოდში ერთხელ.

სტუდენტმა ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის დროს საჭიროა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სტუდენტის ბარათი.

უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი/თანამშრომლები წიგნადი ფონდით სარგებლობისას წარმოადგენენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას საკონტაქტო ინფორმაციას (მობილურის ნომერი, ელ. ფოსტა).

მკითხველი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას სახელის, გვარის და საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში.

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	ბიბლიოთეკა	გვერდი	17/19
		ცვლილება	0

## ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით სარგებლობა.

სამკითხველო დარბაზში წიგნადი ფონდიდან გაცემული ლიტერატურით მკითხველმა შეიძლება ისარგებლოს მისთვის საჭირო დროის განმავლობაში.

სამკითხველო დარბაზში მუშაობის დამთავრების შემდეგ მკითხველმა წიგნი უნდა ჩააბაროს ბიბლიოთეკის სპეციალისტს.

მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით ასევე ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით.

ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე ვრცელდება საინტერნეტო წვდომა „Wi-fi“.

## ბიბლიოთეკაში წიგნის დაბრუნების ვადები და ვადის დარღვევის შემთხვევები.

ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემის მაქსიმალური ვადაა 1 სემესტრი.

გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველს წიგნი კვლავაც ესაჭიროება, მას შეუძლია ახლიდან გაიტანოს ის.

თუ მკითხველმა რაიმე მიზეზით ვერ დააბრუნა წიგნი ბიბლიოთეკაში საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბიბლიოთეკას გადაცდენის მიზეზი.


ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მკითხველი იხდის მის საფასურს ან თუ ეს შესაძლებელია უზრუნველყოფს მის ჩანაცვლებას.

## ბიბლიოთეკაში ქცევის წესები.

ბიბლიოთეკაში აკრძალულია:

- საკვების მიღება;
- მოწევა;
- ხმაური;
- მობილურ ტელეფონზე საუბარი;
- წიგნის და/ან სასწავლო მასალების დაზიანება;
- სხვა მკითხველთა უფლებების დარღვევა.

მკითხველის მიმართ, რომელიც დაარღვევს ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს, გატარდება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სანქციები.

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	სტუდენტური თვითმმართველობა	გვერდი	18/19
		ცვლილება	0

## სტუდენტური თვითმმართველობა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა“.

მასში შექმილია თვითმმართველობის დეპარტამენტები, რომელიც კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა.

ესენია:

- განათლებისა და მეცნიერების;
- კულტურის;
- სპორტის;
- ტურიზმის;
- ავიამოდელირების;
- საზოგადოებასთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური (PR).

განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, კონფერენციებს და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებს.


კულტურის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს თეატრალურ, კულტურულ, შემოქმედებით და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს, აგრეთვე შეხვედრებს სტუდენტური საზოგადოებისათვის სასურველ პიროვნებებთან.

სპორტის დეპარტამენტი აწყოფს შეჯიბრებებს, ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, თანამშრომლობს სპორტის დეპარტამენტთან, აგრეთვე ცალკეულ სპორტის სახეობათა ფედერაციებთან და ახორციელებს კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

ტურიზმის დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, სტუდენტთა დასვენებისა და განტვირთვისათვის საჭირო აქტივობებს და კანონით ნებადართულ სხვა ღონისძიებებს.

ავიამოდელირების დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს საკონსტრუქტორო და სხვა სახის კვლევით სამუშაოებს, აწყოფს შეხვედრებს ავიაციის დარგის სპეციალისტებთან, ატარებს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სხვა სახის შეხვედრებს. დეპარტამენტის საქმიანობაში შედის გასვლითი საჩვენებელი კონკურსების და გამოფენების მოწყობა როგორც საქართველოში ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური (PR) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით აკეთებს ოფიციალურ განცხადებებს, სტუდენტურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს აცნობს და

	გზამკვლევი სტუდენტებისთვის	თარიღი	ივნისი 2018
		თავი	0
	დასაქმება და კარიერული მხარდაჭერა	გვერდი	19/19
		ცვლილება	0

რეკლამირებას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, დაგეგმილ და ჩასატარებელ ღონისძიებებს; უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების მაქსიმალურად წარმოდგენას სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებაში.

## დასაქმება და კარიერული მხარდაჭერა

უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისი. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მენეჯერი ურთიერთობს დარგში მოღვაწე სხვადასხვა საწარმოებთან, ავიაკომპანიებთან და ა.შ., უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ სტაჟირებას, მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში, მოიძიებს ვაკანსიებს და შესაბამისი სპეციალობების სტუდენტებს უწევს მხარდაჭერას დასაქმების მიზნით.

## ვის მივმართოთ თქვენთვის საინტერესო სხვა ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად?!

ყველა სტუდენტს მისთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღება შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ფაკულტეტზე, რომელიც მდებარეობს:

საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი: მე-2 სასწავლო კორპუსი, ოთახი 212;

სინჟინრო ფაკულტეტი: პირველი სასწავლო კორპუსი, ოთახი 402

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი: მე-2 სასწავლო კორპუსი, ოთახი 231